

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის  
„ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის“**

**წესდება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ არის ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, საკუთარი მრგვალი ბეჭედი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
3. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
4. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესდებითა და „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს შინაგანაწესით.
5. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ მუშაობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, საქართველოს მთავრობის დადგენილებით“ ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ“, საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, ამ წესდებითა და საქართველოს სხვა მოქმედ კანონმდებლობათა შესაბამისად.
6. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ონი, აღმაშენებლის ქუჩა N – 47.
7. ელ. ფოსტა: [moswavl-axalgazrdobis-saxli@mail.ru](mailto:moswavl-axalgazrdobis-saxli@mail.ru). ტელეფონი - 591 01 04 27.

**მუხლი 2. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი“-ს ძირითადი მიზნები და ფუნქციები**

1. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი“-ს მიზნებია:

მუნიციპალიტეტის მერი:  
ე. საბანაძე

ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა არაფორმალურ და დამატებით განათლებაში;

ბ) თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვის ხელშეწყობა არაფორმალურ და დამატებით განათლებაში სწავლა - სწავლების ხარისხის გაძლიერების მიზნით;

გ) მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარების ხელშეწყობა;

დ) ახალგაზრდობისათვის ისტორიული წარსულისა და აწმყოს უკეთესად გაცნობის მიზნით მხარეთმცოდნეობის, ფოლკლორის, საესტრადო, ხალხური რეწვის, საგნობრივი, ხელოვნების წრეების, სექციების, კლუბების, სტუდიების, ანსამბლების, საბავშვო თეატრის და სხვ. გახსნა.

### **მუხლი 3. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლის“ სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზება**

1. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“ ახორციელებს უფასო და ფასიან მომსახურებას ბავშვთა და მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან.

2. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმა წრეობრივი მუშაობაა. ბავშვთა და მოზარდთა ნიჭისა და სხვადასხვა უნარების რეალიზების ფორმები: ღია კონცერტები, საჯარო გამოსვლები, პრეზენტაციები, კონფერენციები, თემატური შეხვედრები და სხვა სახის აქტივობები.

### **მუხლი 4. სასწავლო - აღმზრდელობითი პროცესის მონაწილენი**

1. სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის მონაწილენი არიან დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი, პედაგოგიური საბჭო, მასწავლებლები და ხელშეკრულებით აყვანილი სხვა სპეციალისტები.

2. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა მასწავლებელი.

3. პედაგოგიური საბჭო:

ა) ადგენს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის მიერ წარდგენილ წლიურ სამოქმედო გეგმას, სასწავლო პროგრამებს და სასწავლო გეგმებს;

გ) ისმენს „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს დირექტორის ანგარიშებს;

დ) იხილავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ანალიზს, მასში ცვლილებების შეტანის საკითხებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

ე) პედაგოგიური საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით.

მუნიციპალიტეტი მერი:

ე. საბანაძე

3. სხვადასხვა ღონისძიების, მათ შორის გასვლითი ღონისძიების ორგანიზებისას, „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის“ დირექტორი პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე.

#### **მუხლი 5. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში“ თანამშრომლების მიღების წესი**

1. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში“ თანამშრომლების მიღება ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. თანამშრომლებთან ხელშეკრულებას დებს დირექტორი მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

2. შრომითი ხელშეკრულების დადების დროს უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს სათანადო განათლება და ორგანიზატორული უნარები.

#### **მუხლი 6. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის“ მართვა**

1. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს საქმიანობას წარმართავს დირექტორი.

2. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი“-ს დირექტორად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც მიღებული აქვს პედაგოგიური ან სახელოვნებო განათლება.

3. „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს დირექტორი:

ა) ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და საშტატო განრიგს. ამტკიცებს „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს შინაგანაწესს;

ბ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

გ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

დ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ე) წარმართავს და ორგანიზებას უკეთებს „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი“-ს საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ეფექტურობასა და კანონიერებაზე;

ვ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს ქონებას და სახსრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე;

მუნიციპალიტეტის მერი:

ე. საბანაძე

ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ი) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

4. “ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის“ სხვა თანამშრომლების უფლება - მოვალეობები განისაზღვრება „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს შინაგანაწესით.

### **მუხლი 7. ფინანსური სახსრები**

1. “ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის“ ფინანსური წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

### **მუხლი 8. “ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს ზედამხედველობა**

1. “ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს მუშაობაზე ზედამხედველობა გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონთან მიზანშეწონილობის, სასწავლო - საადმინისტრაციო პროცესის ეფექტურობის, საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სამსახურების მეშვეობით.

3. მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია გამოითხოვოს მასალები და ინფორმაცია, ან შესაბამისი სამსახურის მიერ ადგილზე შეისწავლოს „ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს საქმიანობა.

### **მუხლი 9. ლიკვიდაცია /რეორგანიზაცია**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით , ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუნიციპალიტეტის მერი:

ე. საბანაძე

**მუხლი 10. "ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი"-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

1. "ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი"-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მერი:

ე. საბანაძე